ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7535091

ნომერი: AR11097010

თარიღი : 23.06.2025

გაცემის თარიღი : 30.06.2025

გაცნობის თარიღი : 30.06.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, თენგიზ შეშელიძის ქუჩა, N 116;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზურაბ ახალაია პ/ნ 01701128641
- თბილისი, ნაკადულის 2, ბინა 18

ორგანიზაცია:
- შპს ტიბინი ჯგუფი კოდი: 406117492

ნომენკლატურა :
- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 27 მარტის №4914512 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 23 ივნისს №AR11097010 განცხადებით მომართა ზურაბ ახალაიამ და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 27 მარტის №4914512 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 27 მარტის №4914512 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქუჩა შეშელიძე, №124-ში მდებარე №01.11.12.018.257 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობის (ბლოკი №1, №2) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 27 მარტიდან 2022 წლის 27 სექტემბრის ჩათვლით.

სამსახურის 2021 წლის 1 ოქტომბრის №5621602 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2020 წლის 27 მარტის №4914512 ბრძანებაში და შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდა 2021 წლის 2 სექტემბრის №AR1846719 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2020 წლის 27 მარტის №4914512 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ -7.70 ნიშნულის გეგმაზე არასწორად იყო დატანილი №34 ავტოსადგომის ფართობი, შესაბამისად მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული -7.70 ნიშნულის გეგმა შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ აღნიშნული ნიშნულის გეგმაზე შესაძლებელია №34 ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 33.42 კვ.მ. ამასთან, წარმოდგენილი -7.70 ნიშნულის გეგმა არ იცვლება, უბრალოდ ხდება აღნიშნული ნიშნულის გეგმაზე ავტოსადგომის ფართობის დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 27 მარტის №4914512 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 27 მარტის №4914512 ბრძანებაში და შეთანხმებული -7.70 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული არქიტექტურული გეგმით.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 27 მარტის №4914512 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 27 მარტის №4914512 და 2021 წლის 1 ოქტომბრის №5621602 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.